ეკონომიკური აზრის ისტორია

„ხილული ხელი“ ექსტრემალურ სიტუაციებში

ჯემალ ხარიტონაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა
ისტორიის კათედრის ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

ხილული ხელი, პროტექციონიზმი ეკონომიკურ საქმიანობაზე სახელმწიფოებრივი ზრუნვაა და სხვა არაფერი. როდესაც ეს ზრუნვა არსებობს, მაშინ მის მასშტაბებზე მსჯელობა შეიძლება.

დღეს ქრესტომათიული ჭეშმარიტებაა, რომ ექსტრემალურ სიტუაციებში(ომები, ეკონომიკური შერყევები, ბაზრის გარეგანი ეფექტები, პანდემიები და სხვ.,) ბაზრის წონასწორობა ირღვევა. დარღეული წონასწორობის აღსადგენად საჭირო ხდება ეკონომიკაში სახელმწიფოებრივი ჩარევა, “ხილული ხელი”.

თავისუფლების მოაზროვნეებიც კი დასაშვებად მიიჩნევენ, გარკვეულ სიტუაციებში , სახელმწიფოებრივ ჩარევას ეკონომიკაში.

საკვანძო სიტყვები: „ხილული ხელი“, სახელმწიფოს ჩარევა, ექსტრემალური სიტუაცია, ავტომატური წონასწორობა.

A VISIBLE HAND IN EXTREME SITUATIONS

Jemal Kharitonashvili
Doctor of Economics, Associate Professor of the Department of International Economy and History of Economic Thought, Faculty of Economics and Business, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ABSTRACT

Visible hand, protectionism is state concern over economic activity and nothing else. When this care exists, then its extent can be judged. Today it is a chrostomatic truth that in extreme situations (wars, economic upheavals, external, effects of the market, pandemics, etc.), the equilibrium of the market is disturbed. State,intervention in the economy, a visible hand, is necessary to restore the disturbed equilibrium. Even libertarians consider state intervention in the economy permissible in certain situations.

Key Words: “Visible Hand”, State Intervention, Extreme Situation, Automatic Equilibrium.

შესავალი

უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფოს ეკონომიკური როლი. სახელმწოფო სექტორის პრობლემას ზოგიერთი ეკონომისტი ეკონომიკური თეორიის უმნიშვნელოვანეს საკითხად განიხილავს. ჯანდაცვა, განათლება, სოციალური უზრუნველყოფა, კეთილდღეობის პრობლემები, საგადასახადო რეფორმა-ყველა მუდმივ ყურადღებას იმსახურებს აღნიშნავს ამერიკელი ეკონომისტი, ნობელიანტი ჯოზეფ სტიგლიცი (1. გვ.12).

მასალები და მეთოდები

როჯერ ჰარისონი სტატიაში «მარადიული ადამ სმითი» აღნიშნავს: «მიუხედავად იმისა, რომ კანტილიონმა გამოავლინა საბაზრო ეკონომიკის სიღრმისეული გაგების უნარი და უმეტეს შემთხვევაში ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფოს ჩარევას, ის მხარს უჭერდა ისეთ ჩარევებს, რომლებიც უფრო სასურველ სავაჭრო ბალანსს უზრუნველყოფდა(2. გვ.31).

ლარი სეკრესტი სტატიაში «ავსტრიული ეკონომიკური სკოლის მივიწყებული წევრი: ჟან ბატისტ სეი(1769-1832)“, მიუთითებს: «სეის მიხედვით, სახელმწიფოს მხრიდან ერთ-ერთი გამართლებული ჩარევა მონეტარულ საკითხებში მონეტების ფიზიკური მოჭრაა.»(2. გვ.57).

ჯოზეფ სტრომბერგი სტატიაში: «ფრედერიკ ბასტია ორი ასწლეულის მანძილზე» შენიშნავს: »როდესაც ჩაურევლობის პოლიტიკის მიმდევარმა ლიბერალებმა გულგრილად გადაიყვანეს ადამიანები არასოციალურ, ატომიზირებულ ინდივიდებამდე, რათა სახელმწიფოს ჩაურევლობის აბსურდულ მტკიცებამდე მისულიყვნენ, ფ. ბასტია აღნიშნავდა, რომ „ადამიანისათვის საზოგადოება აუცილებელ გარემოს წარმოადგენს.» ბასტიას აზრით, “სახელმწიფო თითოეული მოქალაქისათვის სამართლიანობის დაცვის გარანტი უნდა იყოს».(2. გვ. 67).

მარი რითბარდი სტატიაში »ლუდვიგ ფონ მიზესი (1881-1973)» მიუთითებს: “ლ. ფ. მიზესი ჩაურევლობის მომხრე რადიკალი იყო, რომელიც მიიჩნევდა, რომ ტარიფები, საემიგრაციო შეზღუდვები და სამთავრობო რეგულირება მორალზე ახდენდა გავლენას. მეორე მხრივ, მიზესი მტკიცე კულტურული და სოციალური კონსერვატორი იყო, რომელიც ებრძოდა ეგალიტარიანიზმს». (2. გვ.121).

ედუარდ იუნკისი სტატიაში „მილთონ ფრიდმენის პრაგმატული ლიბერტარიანიზმი» აღნიშნავს, რომ მილთონ ფრიდმენის თანახმად, სოციალური პოლი-

ტიკის მიზანია, რაც შეიძლება მეტ ინდივიდს მიეცეს საკუთარი ინტერესების მაქსიმალური რეალიზაციის საშუალება. ის ამბობს, რომ მას სურს რაც შეიძლება მცირე და ნაკლებ აბეზარი მთავრობა, რომელიც თავსებადია ოპტიმალურ თავისუფლებასთან, რომ თითოეულმა პიროვნებამ შეძლოს თავისი პროექტების განხორციელება და ღირებულებების ერთგულება მანამ, სანამ ის არ ზღუდავს სხვა პიროვნების თავისუფლებას. მ. ფრიდმენი აცხადებს, რომ მთავრობის ძირითადი ფუნქცია მდგომარეობს შემდეგში: 1.დაიცვას ერი გარეშე ძალადობისაგან და დაიცვას ინდივიდები ურთიერთ ძალადობისაგან სახელმწიფოს შიგნით; 2. ხელი შეუწყოს თავისუფალი ბაზრის შექმნას გაცვლის კანონების მიღებით და უზრუნველყოს გაცვლის საშუალების არსებობა; 3. რეაგირება მოახდინოს თანმდევ შედეგზე. იგი ამბობს, რომ მთავრობამ უნდა გააკეთოს მარტო ის რისი გაკეთებაც არ შეუძლია ბაზარს (2.გვ.152).

თუ ადრე ბურჟუაზიული იდეოლოგები მსჯელობდნენ უკრიზისო კაპიტალიზმის, დეპრესიებისა და რეცესიების შესახებ 2008 წლიდან აღიარეს გლობალური ფინანსური კრიზისი. ამ კრიზისმა თავდაყირა დააყენა საქმე. 2014 წ. იანვარში აღინიშნა, რომ ეს კრიზისი თავის ეკვადორს გადასცდა. ეს გარკვეული შეღავათია, მაგრამ ეკვატორიდან მეორე პოლუსამდე მნიშვნელოვანი მანძილია და მას გავლა უნდა. დღეს მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები იძულებული არიან ჩაერიონ ეკონომიკაში და არაპოპულარული პროტექციონიზმიც კი გაატარონ.

როგორც საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა აღნიშნავს: «თავისუფალი ბაზრის ნაკლოვანებათა გამოსწორების ფუნქცია ეკონომისტთა დიდ ჯგუფს სახელმწიფოზე გადააქვს და თვლის , რომ სახელმწიფო უნდა ჩაერიოს და ერთი მხრივ, გააკეთოს ის რისი გაკეთების უნარიც არ შესწევს ბაზარს, ხოლო მეორე მხრივ კი, ბაზარზე შეაფერხოს თავისუფლების ელემენტების შეზღუდვა იქ მოქმედი კერძო სუბიექტების მიერ(3.გვ.42).

2009 წ. 5 ოქტომბერს საქართველოს საკანონმდებლო-ლო ორგანომ მიიღო თავისუფლების ქარტია. ქვეყანა დაადგა სრული ლიბერალიზმის (პალეოლი-ბერალიზმის) გზას. ეს იმით იქნა ახსნილი, რომ კრიზისი ჩვენ ნაკლებად შეგვეხო, ვინაიდან საქართველო ძირითადად მომხმარებლური ქვეყანაა. იმპორტი გაცილებით ჭარბობს ექსპორტს. ცნობილია, რომ კრიზისის დროს ფასები მცირდება. მაგრამ ეს შემცირება ჩვენთან ცოტა ხანს გაგრძელდა.

პროტექციონიზმის მოწინააღმდეგეები აქცენტს ამახვილებენ მხოლოდ ეკონომიკაში სახელმწიფოებრივი ჩარევის ნეგატიურ მხარეებზე. მაგრამ არსებობს ამ პროცესის პოზიტიური მხარეებიც. მაგალითად, სუბსიდირება, უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი და ა,შ. აქ თავისი როლი უნდა შეასრულოს ეკონომიკური ლიბერალიზმისა და პროტექციონიზმის შეთანწყობის პრინციპმა. ეკონომიკური განვითარების ეროვნული მოდელის აგება და რეალიზაცია წარმოუდგენელია პროტექციონისტული პოლიტიკის გატარების გარეშე(5. გვ.45).

საბაზრო ეკონომიკის ციკლურმა განვითარებამ შეიძლება გამოიწვიოს სოციალური და ეკონომიკური დაძაბულობა. სახელმწიფომ უნდა მოახდინოს დარღვეული წონასწორობის სტაბილიზაცია(6. გვ. 27).

როგორც აკადემიკოსი ვ. პაპავა მიუთითებს: "რადგან თავისუფალი ბაზარი მხოლოდ და მხოლოდ თეორიული კონსტრუქციაა, ამიტომ საბაზრო თანასწორობა იდეალური ბაზრის პირობებში ის იდეალური მდგომარეობაა, საითკენაც უნდა ისწრაფოდეს ბაზრის სახელმწიფო რეგულირება(7. გვ.8). საბაზრო თანასწორობის მისაღწევად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორი ეკონომიკური პოლიტიკა იქნება არჩეული და ცხოვრებაში გატარებული სახელმწიფოს ხილული ხელის მიერ(8. გვ.20). სახელმწიფო საჭიროა იქ და მაშინ, სადაც და როდესაც საბაზრო მექანიზმი შედეგს ვერ იძლევა. გარდამავალ ეკონომიკაში სახელმწიფო უფრო მაღლა უნდა იყოს, რამდენადაც თვით საბაზრო მექანიზმი ჯერ კიდევ სრულად არაა ჩამოყალიბებული და დამუშავებული. (9. გვ.236).

სახელმწიფოს აქვს უმნიშვნელოვანესი როლი ყველა განვითარებადი ქვეყნისათვის. ამ დროს ჩნდება სახელმწიფოს როლის საჭიროება, რომელიც უფრო ქმედითად, თანმიმდევრულად და მიუკერძოებლად განახორციელებს სამართალს და დაიცავს ადამიანების უსაფრთხოებას. სახელმწიფოს შეუძლია ხელი შეუწყოს ეკონომიკის ეფექტურობას. ხელისუფლებას ეკისრება როლი ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანაში.

* * *

კაპიტალიზმის საწყის ეტაპზე, „ხილული ხელი" წარმოჩინდა მერკანტილიზმის სახით. მერკანტილიზმი გვიანდელი ფეოდალიზმის პერიოდის სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკაა. იგი სავაჭრო კაპიტალის და სავაჭრო ბურჟუაზიის ეკონომიკური მოძღვრებაა. მერკანტილიზმი გამოიხატებოდა საგარეო ვაჭრობის კონტროლში. ის ხელს უწყობდა კაპიტალის დაგროვებას, კაპიტალისტური წარმოების წესის მომზადებასა და განმტკიცებას. მერკანტილისტურმა მოძღვრებამ მიზნად დაისახა ახალი ეკონომიკური ღონისძიებებისა და პოლიტიკის თეორიული დამუშავება და დასაბუთება. მერკანტილიზმი იყო სავაჭრო კაპიტალის ეკონომიკური, პოლიტიკა, რომლის ისტორიული მისია იყო, რომ გზა გაეკვალა სამრეწველო კაპიტალისთვის და საფუძველი ჩაეყარა მისი განუყოფელი ბატონობისათვის [9].

"ხილული ხელის"(ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის) საჭიროება მე-19 საუკუნეში გერმანიაში შეიქმნა. კაპიტალიზმის გზაზე დამდგარი გერმანიისათვის მიუღებელი აღმოჩნდა კლასიკური სკოლის ლიბერალური თეორია. გერმანელმა მეცნიერმა ფრიდრიხ ლისტმა (1789-1846) უარყო კლასიკური სკოლის წარმომადგენლების (პირველ რიგში ა. სმითის) მიერ ფრიტრედერობის დაცვა. უარყო კლასიკური სკოლის წარმომადგენლების ეკონომიკური პოლიტიკის უნივერსალური ხასიათი და მას დაუპირისპირა

მოძღვრება აღმზრდელობითი პროტექციონიზმის შესახებ.

ფ. ლისტი პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებისათვის აუცილებლად მიიჩნევდა გერმანიის იუნკრული სახელმწიფოს როლის გაზრდას და მის ჩარევას ეკონომიკური საკითხების გადასაჭრელად. მის ეკონომიკურ სისტემაში ცენტრალური ადგილი ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებს უკავია. ხოლო მისი ეროვნული ეკონომიკა მწარმოებლურ ძალთა ყოველ მხრივ განვითარებას ემსახურება. ამ უკანასკნელ საქმეში ფ. ლისტი მთავარ როლს საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობას ანიჭებდა.

X!X ს. 70-80- იან წლებში გერმანიის მაშინდელმა მთავრობის მეთაურმა ოტო ფონ ბისმარკმა პროტექციონისტული ღონისძიებების მთელი სისტემა შექმნა, რომელთა რეალიზაციის შედეგად გერმანია მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების რიგში ჩადგა. X!X ს. დამლევს ის მსოფლიოში მეორე ადგილზე გავიდა ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ. დღესდღეობით გერმანია მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით მსოფლიოში მესამე ადგილზეა აშშ- სა და ჩინეთის შემდეგ.

ხილული ხელის გამოყენების საჭიროება წარმოიშვა X!X ს. დამლევს, როდესაც მსოფლიო ეკონომიკაში ჩამოყალიბდა მონოპოლიური გაერთიანებები-კარტელები, ტრესტები, სინდიკატები, კონცერნები და სხვ. მონოპოლიების უზურპატორული ძალაუფლების შესარბილებლად ნეოკლასიკური მიმდინარეობის წარმომადგენლებმა კემბრიჯის სკოლის მამამთავარის ალფრედ მარშალის მეთაურობით მოითხოვეს ხილული ხელის გარკვეულად გამოყენება.

სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გააქტიურება განსაკუთრებით საჭირო გახდა XX საუკუნეში, კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში.

ცნობილმა ინგლისელმა ეკონომისტმა ჯონ მეინარდ კეინზმა ჩამოაყალიბა რეგულირებადი ეკონომიკის დოქტრინა.

ჯ. კეინზმა აღნიშნა, რომ უმუშევრობისა და კრიზისების ძველი თეორიები უძლური აღმოჩნდა ახალი პრობლემების წინაშე და მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებდნენ. ძველი თეორიების ნაცვლად კეინზმა ახალი დოქტრინა წამოაყენა, რომელსაც რეგულირებადი ეკონომიკის შექმნის საფუძვლად ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევა მიაჩნდა[9].

ნეოლიბერალურ ეკონომიკურ თეორიაშიც კი სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევას გარკვეული როლი აქვს, როგორებიცაა სოციალური საკითხების გადაწყვეტა, ბიზნესის სუბსიდირება და ა.შ.

ხილული ხელის როლი კვლავ წარმოჩინდა კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში. პანდემიის პირობებში სახელმწიფოს გაუჩნდა ვალდებულებები: შეუნარჩუნოს საზოგადოებას მშვიდობა, ნორმალური ცხოვრების და მუშაობის პირობები, ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებას, ინვესტიციების მოზიდვას, წარმოების და ექსპორტის ზრდას.

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის მოკლევადიანი პრიორიტეტი უნდა იქნეს: Covid-19-ის პანდემიით გამოწვეული დანაკარგების მინიმიზაცია, აღდგენა და სწრაფი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საზოგადოების კეთილგანწყობის შენარჩუნება და მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება. კრიზისულ სიტუაციაში მკაფიოდ უნდა იყოს განაწილებული უფლებამოსილებანი. საზოგადოებრივი ინტერესები უნდა გახდეს პრიორიტეტული კერძო ინტერესებთან შედარებით. მაქსიმალურად შენარჩუნდეს სამუშაო ადგილები, რათა მიღწეულ იქნას შიდა გარემოს სტაბილიზაცია. ჩვენს ქვეყანას რადიკალური რეფორმები სჭირდება, განსაკუთრებით უმუშევრობის და სიღარიბის შემცირების კუთხით. მართალია, მრავალი პოზიტიური რეფორმა განხორციელდა, მაგრამ პრობლემები ისევ რჩება [10}.

დასკვნა

ვითვალისწინებთ რა მსოფლიო ისტორიულ გამოცდილებას რეკომენდაციას ვუწევთ მობილური ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას. როცა საჭიროა, უპირატესად უნდა გამოვიყენოთ პროტექციონისტული პრინციპი, ხილული ხელი; ხოლო როდესაც შესაძლებელი გახდება პრიორიტეტი მივანიჭოთ და გზა გავუხსნათ ფრიტრედერობას – ეკონომიკურ ლიბერალიზმს.

ეკონომიკური განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე რომელიმე პრინციპის მექანიკური, კამპანიური გამოყენება სასურველ შედეგს ვერ მოიტანს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Дж. Стиглиц,(1997) Экономика государственного сектора. М..

2. თავისუფლების მოაზროვნეები. თავისუფლების ბიბლიოთეკა. წიგნი V1.(2008), თბ.

3. ვ. პაპავა(2011). არატრადიციული ეკონომიკსი. თბ.

4. ჯ. კახნიაშვილი(1997), .მაკროეკონომიკა. თეორია და პრაქტიკა, ნაწ. 11, თბ.

5. ჯ. ხარიტონაშვილი(2008), პროტექციონისტული ეკონომიკური დოქტრინის ევოლუცია, თბ.

6. კემპელ რ. მაკ კონელი, სტენლი ლ. ბრიუ. ეკონომიკსი, ნაწ.1(1993). თბ.

7. ვ. პაპავა(1999), საბაზრო თანასწორობის დოქტრინა. თბ.

8. ჯ. ხარიტონაშვილი (2000). სახელმწიფოებრივი პროტექციონიზმი ეკონომიკის ტრანსფორმაციის პირობებში. იხ. თსუ სოხუმის ფილიალის შრომების კრებული. თბ.

9. ჯ. ხარიტონაშვილი(2019).ეკონომიკური აზრის ისტორია, თბ.

10. ქ. შენგელია (20019), სახელმწიფოს როლი ეკონომიკის ანტიკრიზისულ მართვაში პანდემიის პირობებში. მასალების კრებული. ეკონომიკის განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები. თბ.